საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური
სსიპ. საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო

EMERGENCY MANAGEMENT SERVICE
LEPL – EMERGENCY MANAGEMENT AGENCY

ES 9 18 00049582

31/07/2018

შპს „ტენდექსი“ -ს
დირექტორს დავით რეხვიაშვილს
თბილისი, თ.ერისთავის ჩიხი N3, N38

ბატონო დავით,

შეგახსენებთ, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ ,,საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსა'' და შპს „ტენდექსი“-ს შორის 2018 წლის 16 მაისს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №159 ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც აიღეთ ვალდებულება შეგესრულებინათ 20 ერთეული საზღვაო-სამაშველო სამეთვალყურეო კოშკის აწყობის სამუშაოები 5 ივნისის ჩათვლით, რაც განხორციელდა დაგვიანებით 7 ივნისს.

თქვენს მიერ დაირღვა ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1 პუნქტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №159 ხელშეკრულების მე-11 მუხლის 11.3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 62275,80 (სამოცდაორი ათას ორას სამოცდათხუთმეტი ლარი და 80 თეთრი) ლარის 0,15% -ის ოდენობით რაც შეადგენს 186,83 (ასოთხმოცდა ექვსი ლარი და 83 თეთრი) ლარს.

გთხოვთ, უმოკლეს ვადაში წარმოადგინოთ პირგასამტეხლოს თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი სსიპ ,,საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში" ან მობრძანდეთ დავალიანების არსებობის შესახებ შეთანხმების გასაფორმებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელშეკრულების მე-13 მუხლის 13.2 პუნქტის შესაბამისად საკითხს განიხილავს სასამართლო.

თანხის გადახდა უნდა მოხდეს ქვემოთ მითითებულ საბანკო რეკვიზიტებზე.

მიმღები ხაზინის ერთიანი ანგარიში.
მიმღები: ბანკი-სახელმწიფო ხაზინა.
ბანკის კოდი: TRESGE22

საქართველო, თბილისი 0114, ვ. გორგასლის ქ. N83ª, ტელ: +995 32 241 44 54
N83ª V. Gorgasali Str, 0114 Tbilisi, Georgia. Tel: +995 32 241 44 54

საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 302003287
გადახდის დანიშნულება: სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო, შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლო.

სსიპ საგანგებო სიტუაციების
მართვის სააგენტოს დირექტორი ალექსანდრე ხვადაგიანი

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური / სსიპ
საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო
სააგენტოს დირექტორი
ხვადაგიანი ალექსანდრე